1 ნოემბერი

ყველაწმიდას დიდდღესასწაული, [ს], თ

2020 კვირა

გამოცხ 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

დიდია თქვენი საზღაური ცაში მთ 5,12

იესო ელაპარაკება მოწაფეებსა და
დიდძალ ხალხს. 'ნეტარი' უწოდა იმათ,
ვინც აირჩევს სიღარიბესა და სიმშვიდეს,
იმათაც, ვინც დევნილნი არიან იმის
გამო, რომ ღმერთს დაჰყვნენ. როდესაც
მოუწევთ ამის გამო ტანჯვა, არ უნდა
დასევდიანდნენ, არამედ გაიხარონ, რაკი
„დიდია მათი საზღაური ცაში“!
დღეს ვზეიმობთ იმათ გამო, ვინც უკვე
ღებულობენ ამ საზღაურს ზეცაში.

2 ნოემბერი

მოხსენიება ყველა მორწმუნე
მიცვალებულისა, [ს], ი

2020 ორშაბათი

წირვა 1: იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40
წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46
წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს41; გამოცხ21,1-5.6-7; მთ5,1-12

ჩემთან მომსვლელს არ გავაძევებ იო 6,37

დღეს ჩვენი ხსოვნა იმათთანაა, ვინც გვიყვარდა და ვიცნობდით და ჩვენთან აღარ არიან. ლამაზი მოგონებები, დანანება, ცრემლნარევი ტკივილიც. ჩვენ კი გულით დაგვაქვს სიტყვები, რომლებიც გვამხნევებს: იესოს დანაპირები. ვინც მასთან იცხოვრა, არ უნდა ეშინოდეს მოახლოებული სიკვდილისაც კი, საყვარელი ხალხის სიკვდილის შემდეგაც კი. იგი თავისთან აყენებს მათ, ვინც მისიანი იყო.

3 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]
საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ
კათოლიკე სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ), ი
წმ. მარტინ პორესელი, ბერი, +1639

2020 სამშაბათი

ფილიპ 2,5-11; ფს 21; ლკ 14,15-24 (ან, მიცვალებულთა წირვის საკითხავები)

მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის (+1937), მ. ლაზარე გოზალიშვილისა (+1937?) და მ. სტანისლავ კაჭკაჭაშვილის (+1937) გახსენება

ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღვთის სასუფეველში ლკ 14,15

ღვთის სასუფეველი ის სამეფოა, სადაც იესოა მეფე, სადაც ყველას მზერა მისკენაა მიპყრობილი და დაჰყვებიან მას. ჭეშმარიტად ნეტარია ის, ვისაც შეუძლია სუფრას მიუჯდეს და შეექცეს, ყველას ძმობით, განსაკუთრებით კი მეფის მეგობრობით გახარებული. თუმცა, საამისოდ აუცილებელია მიიღო მისი მოწვევა და შეიმოსო მისი სამოსი! ნუ შეგრცხვება სიღატაკის ან ცოდვილობის; შენი მოწვევაც შესაძლებელია: შენს თავს ნუ მისჩერებიხარ, მას უმზირე!

4 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]

წმ. კარლო ბორომეო, ეპ., +1584, (მ), თ

2020

ოთხშაბათი

ფილიპ 2,12-18; ფს 26; ლკ 14,25-33

ანათებთ, როგორც მნათობნი სამყაროში ფილიპ 2,15

იმისათვის, რომ ვიყოთ იესოსთან, უარი ვთქვათ ყოველივე იმაზე, რაზეც წუთისოფელი ვერ ამბობს უარს. ამის გამო ვართ წყვდიადში მოციმციმე ვარსკვლავებივით. არ შეგვაშინებს ჩვენს ირგვლივ გამეფებული სიბნელე: გვახარებს ის ცოტაოდენი იმედი, იმათ რომ ვუწვდით, ვისაც გადასწურვია ის, და ვინც ვერა ხედავს ვერაფერს მშვენიერსა და კარგს.

5 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

2020 ხუთშაბათი

ფილიპ 3,3-8; ფს 104; ლკ 15,1-10

ღვთის სულით აღძრულნი ვიქადით ქრისტე იესოთი ფილიპ 3,3

დავიქადოთ? რაოდენ კარგებიც არ უნდა ვიყოთ, მუდამ იმ მწყემს ვგავართ, ვისაც ცხვარი ეკარგება, ან იმ ქალს, რომელიც ძვირფას მონეტას კარგავს. არაფერი გვაქ-ვს საკრაბახო. თუმცა, ჩვენს უფალ იესოში დიახაც რომ დავიქადი: იგია ჩემი უფალი, ჩემი მეგობარი, ჩემი ძმა. მისი კვერთხი რომ ვიყო ოდენ, ანდა, სახედარი, მაშინ დი-ახაც რომ დავიკვეხნიდი!

პარასკევი

ფილიპ 3,17 - 4,1; ფს 121; ლკ 16,1-8

ძმებო, იყავით ჩემი მომბაძველნი ფილიპ 3,17

„ამ წუთისოფლის ძენი უფრო გამჭრიახ-ნი არიან, ვიდრე ნათლის ძენი“, ამბობს იესო. ეს სიტყვები თითქმის საყვედურად ჟღერს ჩვენთვის. ესოდენ მცირე ყურადღე-ბას ვაქცევთ ღვთის მიბაძვას, იგი და მისი სასუფეველი ასე მცირედ გვაინტერესებს. წმიდა პავლე გვეუბნება არ გამოგვრჩეს ჩვენი ღვთის სიყვარული, მის აზრთა ჭეშ-მარიტება, მისი ჭეშმარიტების მშვენიერება. გვეძნება ძალა წუთისოფლის სიცრუეს არ მოვატყუებინოთ თავი.

7 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

2020 შაბათი

ფილიპ 4,10-19; ფს 111; ლკ 16,9-15

ყოველივე ძალმიძს ჩემს განმამტკიცებელში ფილიპ 4,13

ძალებს ფული როდი გვმატებს. შეგვახსენებს დღეს იესო სახარებაში. სიმდიდრე არ გვაძლევს სიყვარულისა თუ მიტევების ძალას, არც სულგრძელობა და ღარიბთათვის გახსნილი გული და გაწვდილი ხელი იყიდება სადმე. ამ ძალას, ნამდვილ ძალას, რომელიც არც ჩაგრულებსა და არც დატაკებს მოამრავლებს, გვაძლევს იესო. მასთან ერთად ყველაფრითა ვართ კმაყოფილნი, ცოტათი თუ ბევრით, ხოლო ბევრი გვჭირდება, რათა დავეხმაროთ მათ ვისაც ცოტა აქვთ.

8 ნოემბერი
2020
რიგითი XXXII კვირადღე, «ა», [IV], მწ
საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი
კვირა

სიბრძ 6,12-16(13-17); ფს 62; 1თეს 4,13-18; მთ 25,1-13

ათი ქალწული ... გამოვიდა ნეფის შესახვედრად მთ 25,1

იესო კვლავ ცათა სასუფეველზე გვესაუბრება. მასში ყველას როდი აქვს უკვე სრული, მომწიფებული, სულგრძელი და უანგარო სიყვარული. სასუფეველი ქალწულებს ჰგავს, რომლებიც მოელიან ნეფეს, რათა ზეიმი გაუმართონ მას. ზოგი მათგანი ემზადება: ყურადღებიანი სიყვარული აქვთ მომავალი ნეფესათვის. სხვებს კი არა, საკუთარ კომფორტზე ზრუნავენ. ესენი იმათ სიხარულს როდი გაიზიარებენ. ამგვარად შეგვიძლია ავხსნათ, რატომ არიან ზოგი ქრისტიანები გახარებულნი, სხვები კი, მუდამ სევდიანნი.

9 ნოემბერი

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

2020 ორშაბათი

ეზეკ 47,1-2.8-9.12, ან, 1კორ 3,9გ-11.16-17; ფს 45; იო 2,13-22

წმიდაა ღვთის ტაძარი
და ეს თქვენა ხართ 1კორ 3.17

დღეს პაპის ბაზილიკის დღესასწაულია, რომის საკათედრო ტაძრისა. შესაძლებ-ლობა გვაქვს, ვილოცოთ მისთვის და სრულიად ეკლესიისათვის გაწეული მისი მსახურებისათვის. ბაზილიკა, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, ოდენ ნიშანია. ჩვენში უნდა იმალებოდეს უფლის ყოფნა, რათა გაცხადდეს შემდგომ. ჩვენა ვართ ღვთის ტაძარი: ჩვენში შეუძლია გა-მოხატოს მან მთელი თავისი გულმოწყალე და წმიდა სიყვარული!

10 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. ლეონ დიდი, პაპი და მოძ., +461 (მ), თ
(28.X) წმ. მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი, VIIს.

2020

სამშაბათი

ტიტ 2,1-8.11-14; ფს 36; ლკ 17,7-10

მან თავი დასდო ჩვენთვის ტიტ 2,14

„უბრალო მსახურნი ვართ“, გვათქმევინებს იესო. მცირედ მნიშვნელოვანი მსახურნი, რადგან მხოლოდ ჩვენი უფალია მნიშვნელოვანი და აუცილებელი. მან გასცა საკუთარი თავი ჩვენთვის: მისგან ვღებულობთ ხსნასა და თავისუფლებას იმ ბოროტებათაგან, რასაც წუთისოფელი გვთავაზობს და გვაცდუნებს, როცა გვაჯერებს მათ სიკეთეში.

II ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. მარტინ ტურსელი, ეპ., +397, (მ), თ
(29.X) წმ. ღირსი სერაპიონ ზარზმელი, აბატი, +900

2020

ოთხშაბათი

ტიტ 3,1-7; ფს 22; ლკ 17,11-19

მან გვიხსნა თავისი წყალობით ტიტ 3,5

უფალი იესო ჩვენს დასახსნელად როდი
უყურებს ჩვენს დამსახურებებს, არამედ
ყურს უგდებს საკუთარ გულს, და თითქოს
გვეუბნება: „თქვენ, ბოროტნი რომ ხართ,
მე გიჩვენებთ ღმერთის სიკეთესა და მოთ-
მინებას! მასთან მიგიყვანთ, რათა აგავსოთ
თავისი დიდი სიყვარულით“! არ ვეტყვით
მას მადლობას, იმ სამარიელი კეთროვნის
მსგავსად, რომელიც განიკურნა?

12 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. იოსაფატი, ეპ. და წამ., +1623, (მ), წ

2020 ხუთშაბათი

ფილიმ 7-20; ფს 145; ლკ 17,20-25

თქვენშია ღვთის სასუფეველი ლკ 17,21

რამდენჯერ გველაპარაკება იესო ღვთის სასუფეველზე! შეჩვეულნი იყვნენ ჰეროდესა და რომის კეისრის სამეფოს, რომლებიც სულ უფრო ჩაგრავდნენ ადამიანს. სად იქნება ეს ახალი სამეფო, რომელზეც გვიყვება იესო, უცნაური სამეფო, რომლის მეფეც ღმერთია? აი პასუხიც: თქვენშია! დიახ, როდესაც იესოს ვუსმენთ, ვუგონებთ და დავყვებით მას, ხორცს ისხამს ჩვენში ღვთის სიყვარული; ქრება ჩვენივე და სხვათა მკვლელი შური და სიხარბე და ვიქცევით ძმებად.

პარასკევი

2იო 1.3-9; ფს 118; ლკ 17,26-37

იარეთ სიყვარულში 2იო 1,6

წმიდა იოანე გვეუბნება, ვიაროთ ჭეშმარიტებაში და ვიაროთ სიყვარულში. სიყვარული და ჭეშმარიტება ერთი მედლის ორი მხარეა: ერთი მეორის გარეშე ვერ დგას. სიყვარული, თუ ის იესოს ჭეშმარიტებას არ ეყრდნობა, არაა სუფთა და ხანგრძლივი სიყვარული. ჭეშმარიტება, თუ არ ვლინდება სიყვარულით, არაა ჭეშმარიტება! ვიაროთ ჭეშმარიტებასა და სიყვარულში, სიხარულით!

14 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ

2020 შაბათი

ᲕᲘᲝ 5-8; ფს 111; ლკ 18,1-8

როცა ძე კაცისა მოვა, ნეტა ჰპოვებს ამქვეყნად რწმენას? ლკ 18,8

კაი კითხვაა! ამაფორიაქებელი კითხვა. რად არ კითხულობს იესო, დახვდება თუ არა მას სიყვარული? იოლია 'სიყვარულის' არასწორად გაგება და ის მალავს მრავალ უკუღმართ თავკერძობას. მხოლოდ რწმენაში ფესვგადგმული სიყვარულია მამის სიყვარული.

15 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირადღე, «ა», [I], მწ

2020 კვირა

იგ 31,10-13.19-20.30-31; ფს 127; 1თეს 5,1-6; მთ 25,14-30

უპოვართა მსოფლიო დღე

მცირედზე ერთგული იყავი, ბევრზე დაგაყენებ მთ 25,23

რა არის ის მცირე, რასაც იესო გულისხმობს? დიდი სიმდიდრე იყო ტალანტები, მსახურებს რომ ანდეს! ამქვეყნიური სიმდიდრე ხომ არაფრად ფასობს. მაგრამ, თუკი ერთგულებით ექცევი, ანუ, უფლისადმი ერთგულებით, მაშინ ნაყოფი მოაქვს. და იგი ხედავს, რომ შეუძლია განდოს მნიშვნელოვანი დავალებები ადამიანებთან, მორწმუნეებთან, მის სამეფოსთან დაკავშირებით.

16 ნოემბერი

2020 ორშაბათი

სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;
წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093;
წმ. გერტრუდა, ქალწ., +1302

გამოცხ 1,1-5ბ; 2,1-5; ფს 1; ლკ 18,35-43

შენმა რწმენამ გიხსნა შენ ლკ 18,42

ბრმა იყო ადამიანი, ვისაც უთხრეს ეს სიტყვა. თავმდაბლად და მიუხედავად ხალხისა, შეჰღაღადა მან იესოს რწმენა. ეს იყო ხილვის სურვილით აღძრული რწმენა, მაგრამ ასევე, ეს იყო რწმენა, რომელმაც უფალში აღიარა „ძე დავითისა", ანუ, ღვთისაგან მოსული. ამ რწმენით იესოს შეუძლია განაცხადოს, რომ ეს კაცი დახსნილია, ანუ ის არ აძლევს ურწმუნოებს მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, რის გამოც შეუძლია მისდიოს იესოს.

17 ნოემბერი 2020

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ
წმ. ელისაბედ უნგრელი, მონ., +1231, (მ), თ
(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია, მონაზონნი,
ქრისტეს საფლავის მოღვაწენი

სამშაბათი

გამოცხ 3,1-6.14-22; ფს 14; ლკ 19,1-10

წმ. ელისაბედის დების დღესასწაული

ვინც მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი გამოცხ 3,19

დავიწყეთ გამოცხადების წიგნის კითხვა: ეს ფურცლები დაგვეხმარება ახალი მზერით წავიკითხოთ ჩვენი ისტორია. ყურადღებას გვიმახვილებს იმაზე, რომ იესო და მისი ჭეშმარიტება ჩვენშია. იგი დაგვმოძღვრავს, შეგვისწორებს, რაკი მუდამ იმ თავკერძა აზროვნების ძლიერი გავლენის ქვეშა ვართ, რომელიც უკუაგდებს ფუვარსა, რითაც ზია-ნს ვაყენებთ საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

ოთხშაბათი

გამოცხ 4,1-11; ფს 150; ლკ 19,11-28

ბატონო, შენმა მნამ ხუთი მნა მოიტანა ლკ 19.18

სიხარულითა და ძრწოლით მიეახლება მსახური ბატონს. ეყოფა კი? რა თქმა უნდა რომ ბატონი კმაყოფილია: არა ხუთი მნასათვის, არამედ იმიტომ, რომ მსახური მუდამ იყო მისი სურვილის ერთგული და ყურადღებიანი შემსრულებელი. ასე მსურს იესოსთან ყოფნა: გულისყურით ვუსმინო და მზად ვიყო იმის საკეთებლად, რაც მას მოსწონს!

ხუთშაბათი

გამოცხ 5,1-10; ფს 149; ლკ 19,41-44

ნეტავ ამ დღეს მაინც მიმხვდარიყავი, რაც სამშვიდობოა შენთვის ლკ 19,42

იესო იერუსალემის მიმართავს, ანუ მის ხელისუფალთ. მათ სურთ მშვიდობა, როგორც თავად ქალაქის სახელიც მეტყველებს, თუმცა ცდილობენ ამ მშვიდობის მიღებას მამის ერთადერთი ძღვენის თავიდან მოცილებით, რომელსაც შეეძლო მათთვის მშვიდობის სისავსით მინიჭება. გღებულობ, იესო, ჩემს ცხოვრებაში, მაშინაც კი, თუკი ამისთვის დამცინებენ, მიმატოვებენ. შენ მუდამ იქნები ჩემში სხვათათვის გაწვდილი ძღვენი.

20 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ

2020 პარასკევი

გამოცხ 10,8-11; ფს 118; ლკ 19,45-48

ჩემი სახლი სამლოცველო სახლი იქნება ლკ 19,46

ყოველივე გადაგვარდება ადამიანის
თავკერძობით; თვით ღვთის ტაძარიც
იქცევა მამონას ტაძრად!
მადლობა, იესო, რომ ვერ აგიტანია ეს
სიმახინჯე და შესაფერისი ქმედებებიც
მზადა გაქვს. სიცოცხლის ფასად გიჯდება
ეს, თუმცა ჩვენი სიცოცხლე შენთვის
უფრო ძვირფასია: შენ გსურს გვიხსნა
სიცრუისაგან.

შაბათი

გამოცხ 11,4-12; ფს 143; ლკ 20,27-40

ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა ლკ 20,38

მადლობა, უფალო იესო, შენი სიტყვა არამხოლოდ დამაჯერებელია, არამედ გამოცხადებაცაა. შენ გვიცხადებ მამის სიყვარულს და დაგვაგემოვნებინებ მას. შენგან ვსწავლობთ, რომ ჩვენი სიცოცხლე უკვე იმყოფება ღმერთის გულში და იქიდან მათ ვერაფერი და ვერავინ ამოშლის.

22 ნოემბერი 2020

რიგითი XXXIV კვირადღე,
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,
სამყაროს მეფისა, «ა», დდ, [ს], თ

კვირა

ეზეკ 34,11-12.15-17; ფს 22; 1კორ 15,20-26.28; მთ 25,31-46

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ძე კაცისა დაჯდება თავისი დიდების ტახტზე მთ 25,31

ვუმზერთ ტახტზე მჯდომ იესოს. ახლა ის განსჯის, ანუ, აცალკევებს კეთილს იმისაგან, რაც სწამლავს და ცრუობს. ვინც ცხოვრობს გულმოწყალებით, კეთილია, ანუ, აბრწყინებს მამის სიყვარულს. ვინც თვალებს ხუჭავს ღატაკის დანახვაზე, წყვდიადში რჩება და ვერ იხილავს და ვერ გაიხარებს ღვთის დიდებით. იესო, შენა ხარ არაჩვეულებრივი და საოცარი მეფე!

23 ნოემბერი

(10.XI) წმ. გიორგი წამებული, დ, [ს], წ

წმ. კლემენტ I, პ. და წამ., +101; წმ. კოლუმბან, აბ. +615;
(10.XI) წმ. დიდმოწამე კონსტანტი-კახი, +852

2020 ორშაბათი

2მაკ 6,18-23; (ან, ფილიპ 1,20-30); ფს 33; მთ 10,28-33

გიორგობა. უდეში „პირდაპირების“ სამლოცველოს დღეობა

დაინახა აგრეთვე ღარიბი ქვრივი, რომელმაც ორი ლეპტა ჩააგდო ლკ 21.2

როგორ ამჩნევს იესო ყველაფერს? ვერაფერი გამოეპარება! არც ის მნიშვნელობა გამორჩება, რაც ქმედებებს გააჩნია გულის სიღრმეში და მამის გულის სიღრმეში. ორი ხურდა ფული არაფერია, არადა ხელები, რომლებშიც ისინი იქცევა ძღვენად, კურთხეულია და მაკურთხებელი. სალამს, რომელიც მომცა ერთმა ყველასაგან ათვალწუნებულმა ადამიანმა, დიდი ფასი აქვს ღმერთის თვალში! ვინ იცის, რამდენს მიიღებს საზღაურად!

24 ნოემბერი

2020

რიგითი XXXIV კვირა [II]

წმმ. ანდრია დუნგ-ლაკი ხუც. და მეგ., ვიეტნამელი წამებულნი, XVI-XVIIსს. (მ), წ

სამშაბათი

გამოცხ 14,14-19; ფს 95; ლკ 21,5-11

გაგზავნე შენი ნამგალი და მომკე

გამოცხ 14,15

ანგელოზებს ავალიათ მკა. არ უნდა დავკარგო მოსვენება. მე არასოდეს დამავალებენ ამ საქმეს. მე ჩემი ღვთის ხელთა ვარ, და მშვიდობით დავრჩები მასთან. მხოლოდ იმაზე ვიქნები ყურადღებით, როგორც დღეს მეუბნება იესო, არ ჩავებღაუჭო იმას, რაც უნდა გაქრეს. თუკი ანგელოზი ნამგალს გადმოისვრის, მე იესოს ჩავეჭიდები!

25 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

წმ. ეკატერინე ალექსანდრიელი, ქალწ. და წამ., +III-IV სს

2020 ოთხშაბათი

გამოცხ 15,1-4; ფს 97; ლკ 21,12-19

გამძლეობით მოიპოვეთ თქვენი სული ლკ 21,19

ამ სიტყვებით ასრულებს იესო დევნის ჟამს ერთგულებისაკენ მოხმობას. როდესაც წინააღმდეგობა შეგვხვდება, საუკეთესო შესაძლებლობა მოგვეცემა დავამოწმოთ ჩვენი უფლის მშვენიერება და ერთგულება: არ უნდა გავუშვათ ის ხელიდან. ძლიერი რწმენით მოვემზადები. შენ შემეწევი მე, უფალო იესო, შენთან ერთობაში დავრჩე, რადგან შენი წმიდა სახელისათვის შემებრძოლებიან და დამცინებენ.

ხუთშაბათი

გამოცხ 18,1-2.21-23; 19,1-3.9; ფს 99; ლკ 21,20-28

ციური ძალები შეირყევიან ლკ 21,26

რთულად გასაგები სიტყვებია. ყველაფერი აირ-დაირევა, ადამიანთა აზროვნებაში და მისწრაფებებში. მაშინ დადგება ჟამი, როდესაც ჩვენ უნდა ვიყოთ ნათელი გზა-აბნეულისათვის და მარილი იმათთვის, ვისი ცხოვრებაც უგემური გამხდარა. ჩვენ ვიქნებით ყველას შემწედ, იმათიც, ვინც ყოველთვის ზურგს გვაქცევდა, თუკი ვიქნებით იესოსთან შეერთებულნი.

პარასკევი

გამოცხ 20,1-4.11 - 21,2; ფს 83; ლკ 21,29-33

შეხედეთ ლეღვს და ყველა ხეს ლკ 21,29

იესო იყენებს დაკვირვების იმ უნარს, ჩვენ რომ გაგვაჩნია. როგორც შეგვიძლია გამოვიცნოთ წელიწადის დრონი ხეების მდგომარეობიდან, ასევე უნდა შეგვეძლოს, შევატყოთ იმ უბედურობებიდან, რაც საზოგადოებაში ხდება, რომ დადგა დამოწმების ჟამი. არ დავიჩივლოთ ბოროტებათა გამო, უფრორე შევეგებოთ მათ როგორც შანსს, წარმოვაჩინოთ ჩვენი რწმენის სიკეთე.

შაბათი

გამოცხ 22,1-7; ფს 94; ლკ 21,34-36

წყევლა აღარ იქნება გამოცხ 22,3

როდესაც ვიქნებით უფალთან და გავუგონებთ და დავყვებით მას, აღარ ვიცხოვრებთ წყვდიადსა და ქაოსში. წყევლა რომელსაც განვიცდით, და რომლის მატარებლებიც ვხდებით მისგან დაშორებისას, აღარ გვემახსოვრება. ვდგავარ მამისა და მისი ძის, კრავის წინაშე, ჩვენთვის რომ შეიწირა. იგია ჩემი ერთადერთი ორიენტირი. ჩემი ცხოვრება კურთხევად იქცევა ჩემთვის და ყველასათვის.

29 ნოემბერი

ადვენტის I კვირადღე, «ბ», [I], ი

2020 კვირა

ეს 63,16ბ-17.19ბ;64,2-7; ფს 79; 1კორ 1,3-9; მარ 13,33-37

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

მძინარენი არ გპოვოთ მარ 13,36

როდესაც ადამიანი კომაშია, ვერ ამჩნევს, რა ხდება მის ირგვლივ. ყველას შეუძლია, რაც უნდა ის გაუკეთოს. არ არსებობს მხოლოდ ფიზიკური კომა, არამედ სულიერიც. სულიერ კომაშია ის, ვინც ვერასოდეს ხედავს და ისმენს უფლის ხმას: არ პასუხობს მას, არც მისი სიახლოვე ახარებს. ფხიზლად ვიქნები დღეს?

30 ნოემბერი

2020 ორშაბათი

წმ. ანდრია, მოციქული, დ, [ს], წ

(17.XI) წმმ. მიქაელ-გობრონი და 133 მხედარი, +914

რომ 10,9-18; ფს 18; მთ 4,18-22

ბეთლემის (ახალხიზა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მათ მყისვე მიატოვეს ბადეები და გაჰყვნენ მას მთ 4,20

წმიდა ანდრიას, მის ძმა სიმონთან ერთად დაინახავს იესო. სამუშაოშია გართული. უსაქმური როდია, მუქთახორა. ისმენს იესოს ძახილს. რა ქნას? ორივე ძმა გადაწყვეტს, მიატოვონ სამუშაო და შეუდგებიან იესოს კვალს. მათი ცხოვრება იცვლის სახეს მნიშვნელობასა და ღირსებაში. დღეს ანდრია გვღებულობს იმ დამყოლობის სიხარულში, რომლითაც თავად უპასუხა.